პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 174 (20215) — პარასკევი, 29 ივლისი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განიხილა საკითხი 1988 წლის 18 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლის შესაბამისად გარდაქმნის დემოკრატიული პრინციპების ორგანიზაციული და იდეოლოგიური უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

განიხილეს ფულის მომოქცევის, რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის გაცემის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების დამატებითი ღონისძიებანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში ფინანსური მდგომარეობისა და საგადახდელო დისციპლინის ერთგვარი გაუმჯობესება, და უყურადღება მიაპყრო ფულის მომოქცევაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს. საქართველოს კომპარტიის სოლალი, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაეკალთ გაძლიერონ მომთხოვნელობა და მკაცრი კონტროლი დაუწესონ ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელი კომუნისტების მუშაობას იმისათვის, რომ გააფართოონ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება ადგილობრივი რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყენებით, გაზარდონ საწყნო მასალათა წარმოება და მოსახლეობისათვის მიაყიდეს, მისი ფასიანი მომსახურება.

რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებისა და საწარმოების პარტიულ ორგანიზაციებსა და ხელმძღვანელობას რეკომენდაცია მიეცათ საფუძვლიანად და კრიტიკულად გაეკრიტიკებინ ხელფასის ხარჯების ზრდის მიზეზებში და ამიმწურავად ღონისძიებანი განახორციელონ შრომის ანაზღაურების ფონდის ჩამოყალიბებისა და გამოყენების მოწესრიგებისათვის, ნიადაგ ადეკვატთვალი შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მისი ანაზღაურების ტემპს შორის სწორ თანაფარდობის, არ დაუშვან ხელფასის უსიერატესი ზრდა.

შრომითი კოლექტივების საბჭოებს წინადადება მიეცათ სისტემატურად განიხილონ თავიანთ სხდომებზე მუშა-მოსამსახურეებთან ანგარიშსწორების მდგომარეობა და მოსთხოვონ საწარმოთა ხელმძღვანელებს ანგარიში ხელფასის გაცემის დადგენების მიზეზების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დაავალა სკკპ წევრს, საქართველოს სსრ საბჭოს გამგეობის თავმჯდომარეს გ. ა. პატეიშვილს, აგრეთვე სკკპ წევრებს, რესპუბლიკის სპეციალიზებული ბანკების გამგეობათა თავმჯდომარეებს ზ. გ. გენდელაძეს, ი. ა. კორტავას, ა. ქ. ერგუმელიძეს, რ. ი. ხუხუნაშვილს ძირფესვიანად გარდაქმნან საუწყებო დაწესებულებათა მუშაობის სტილი და მეთოდები, რათა მთელ ძალისხმევა კონტროლი გაუწიონ სალაპარაკო გეგმის შესრულებას, ოპერატიულად აცნობონ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს საწარმოო-ორგანიზაციებისათვის ხელფასის გაცემის დაგვიანების შემთხვევები.

სკკპ წევრებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეებს ზ. ა. ჩხეიძეს და გ. დ. მგელაძეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ო. ვ. მელქაძეს წინადადება მიეცათ მკაცრი კონტროლი დაუწესონ მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის შეწონასწორების უზრუნველყოფას, მტკიცე ღონისძიებანი განახორციელონ სახალხო მოხმარების საქონლის მოცულობისა და მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გასაზრდელად, დასახონ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფს თითოეული საწარმოს მიერ სავაჭრო ქსელში ხალხისათვის საჭირო საქონლის მიწოდების გეგმის უფუო შესრულებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სპეციალიზებული ბანკების მუშაობის კოორდინაციისა ბარამაკრისა პრინციპულობისათვის, მუშა-მოსამსახურეებთან ანგარიშსწორების მდგომარეობისადმი კონტროლის შესუსტებისათვის სასტიკი საყვედური გამოუცხადა ამხ. ვ. ა. პატეიშვილს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მხარი დაუჭირა რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს, მხატვართა კავშირის, კულტურის ფონდისა და რუსთაველის საზოგადოების წინადადებას დიდი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანიშვილის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებათა მოწყობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სახბინო კოოპერაციის განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო ცხოვრების ზოგიერთი სხვა აქტუალური საკითხიც.

ამ. ს. გორბაჩოვი ეწვია ფეხსაცმლის გაერთიანება „ზარიას“

27 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი ეწვია მოსკოვის სამრეწველო-სავაჭრო ფეხსაცმლის გაერთიანება „ზარიას“. სახალხო მოხმარების საქონლის გაზრდის პროგრამის რეალიზაციის გეგმებში მის კოლეტივს დიდი როლი ეკუთვნის წარმოების ახალი მეთოდების შემოშავებაში, ნაწარმის ასორტიმენტის გაფართოებასა და ხარისხის გაუჯობესებაში. მის შემადგენლობაში აა 8 ფეხსაცმლის საწარმოა, რომელთაგან 4 მოსკოვშია.

გაერთიანების გენერალურ დირექტორთან ა. ა. ნიკიტინთან, პარტკომის მდივან ლ. მ. შეპილოვასთან, შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარესთან ვ. ვ. ბორტნიკოვთან საუბრის დროს გაიმართა საფუძვლიანი სჯა-ბაასი XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესახებ ჩვენს საქმიანობაზე, იმის შესახებ, თუ როგორ მიმღინარობს მუშაობა სამეურნეო ანგარიშის, თვითანაზღაურებასა და ფინანსებაზე გადასვლის პირობებში.

მოკლე დროში მეთაურ საწარმოში — ფაბრიკა „პარიზის კომუნაში“ ბევრი რამ გაკეთდა ტექნიკური განახლებისათვის, წარმოებისა და ვაჭრობის ინტერესების და მაყიდველთა მოთხოვნების გათვალისწინების შეხამებისათვის. გაერთიანება ყოველწლიურად თითქმის 80 პროცენტით აახლებს თავის ასორტიმენტს, ასაღებს ზარა პროდუქციის საკუთარი მაღაზიების ქსელის მეშვეობით, მაქსიმალურ ახალი ნიმუშის ფეხსაცმლის მოდელებს და საქმიანი ურთიერთობა აქვს დაფარებული ფაბრიკასტიტუტი და კაპიტალსტერი ქვეყნების საწარმოებთან. ოდეს რა საქმო მოგვიანა, გაერთიანება ფინანსურ სახსრებს აძლევს ნედლეულის მიმწოდებლებს ფეხსაცმლის ხარისხის გაუჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების მიზნით.

მ. ს. გორბაჩოვმა დაწვრილებით გამოიკითხა, თუ როგორ არის მოგვიანებული შრომა და ყოფაცხოვრება კოლექტივში, როგორ ამაღლებენ მუშათა კვალიფიკაციას ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით, როგორ სწავლობენ ბაზარსა და მოდას, როგორ არის უზრუნველყოფილი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, როგორ უწყვენ პოპულარიზაციას საუკეთესო საავტორო მოდელებს.

შრომის ნაყოფიერებით, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, თქვენი საწარმო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა დარგში, მაგრამ ხარისხის, ასორტიმენტის მხრივ თქვენ ჯერ კიდევ გაქვთ პრობლემები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ საამქროებში სამეურნეო ანგარიშის დანერგვას, რათა წარმოების თითოეულ უბანზე უზრუნველყოფილი იყოს წარმოებისა და მუშის ინტერესების ერთიანობა, შემოუშათ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დეტალური გეგმები, რათა გახვიდეთ ახალ დონეზე და აღარ ჩამორჩეთ.

ყველა ხელმძღვანელმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, უფრო მეტად უნდა იზრუნოს სოციალურ-საყოფაცხოვრებო საკითხებისათვის, ბინებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტების შენებლობის დაჩქარებისათვის. კარგი დამოკიდებულება ადამიანისადმი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა. თუ სამეურნეო ანგარიშს შეეუხამებთ დემოკრატიზაციას, უზრუნველყოფთ კიდეც ჩვენი ცხოვრების ყველა მხარის განსაზღვის ამოცანებს რაც შეიძლება სწრაფად გადაწყვეტას, გარდაქმნის პროცესის შემდგომ გაღრმავებასა და გაფართოებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა დაათვალიერა გამოსაკრელი საამქრო, ნამზადების გამოჭრის ხაზი, მოდელის ფეხსაცმლის საამქრო. წარმოების დაცვნობის დროს გაიმართა მრავალი შეხვედრა და საუბარი მუშებთან.

აღინიშნა, რომ ამ ფაბრიკის გამოცდილება გვიჩვენებს ფეხსაცმლის ხარისხისა და ისეთი პროდუქციით ბაზრის უხვად მომარაგების პრობლემების გადაჭრის გზებს, რომელზეც მოსახლეობის მოთხოვნაა. მთლიანად კი ეს ჯერჯერობით ჩვენი მეფეხსაცმლეების მტკივნეული ადგილია. ერთ სულ მოსახლეზე ფეხსაცმლის წარმოების რაოდენობით ერთ-ერთი პირველი ადგილი გვიკავია მსოფლიოში, მაგრამ, რადგან ბევრი ფეხსაცმელი უხარისხოა, პრობლემები კვლავ მწვავედ დგას.

შემდეგ მ. ს. გორბაჩოვი ეწვია გ. ვ. მუხანოვის სახელობის ფაბრიკას, რომელიც 1987 წლის მაისში აშენდა იტალიური ტექნოლოგიით და სავსებით გამზადებული გადაეცა საექსპლოატაციოდ. იგი დასპეციალებულია განსაკუთრებით მოდური ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ფეხსაცმლის გამოშვებაზე. მისი სიმძლავრე ორი მილიონი წყვილი ფეხსაცმელია წელიწადში. საწარმოო პროცესი ისეა აგებული, რომ შეიძლება ერთი მოდელიდან მეორეზე, ერთი სახეობის ფეხსაცმლიდან მეორე სახეობაზე სწრაფად გადასვლა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა დაათვალიერა საწარმოო ხაზები, აღნიშნა წარმოების მაღალი კულტურა და შრომის თანამედროვე პირობები, ეს კარგი მაგალითია ფეხსაცმლის საწარმოთა მოდერნიზაციისათვის.

საავტო დარბაზში მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ფაბრიკის მუშებსა და სპეციალისტებს. მიმართა რა მათ, მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ საჭიროა უფრო სწრაფად გაზარდონ ქალებისათვის, ახალგაზრდებისა და ბავშვებისათვის განკუთვნილი სხვადასხვაგვარი მაღალხარისხოვანი ფეხსაცმლის წარმოება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა თქვა, რომ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმზე სხვა პრობლემათა შორის მომთხოვნელად დაისმება სახალხო საქონლის, ამ პრობლემის გადაჭრისათვის ყველა ჩვენი რეზერვისა და შესაძლებლობის გამოყენების საკითხი. ვინ არ იცის, რომ ეს დარგი არსებითად უყურადღებოდ იყო. ახლა ეს საქმე სწორდება. მისი განვითარებისათვის რესურსებს გამოვყოფთ ყველგან, ჩავრთეთ თავდაცვითი მრეწველობის საწარმოებიც, რათა რაც შეიძლება მალე დავძლიოთ ჩამორჩენა.

გარდაქმნა, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა, — ეს საქმისადმი დამოკიდებულების შეცვლაა, კეთილსინდისიერი შრომაა. აი თქვენ, ამხანაგებო, როგორც საკუთარი პროდუქციის მომხმარებლები, რა გუნებაზე დადგებით, თქვენ მიერ ნაყიდ ფეხსაცმელს ქუსლი რომ მოძვრეს? ალბათ, დამნაშავეს მაშინვე მოძებნით? (სიცილი). აი ასეთსავე მომთხოვნელობას უნდა ავალებდეს თითოეული თავის სამუშაო ადგილზე.

შეეხნენ საყოფაცხოვრებო საკითხებსაც. ეს-კი არის ვესაუბრე ფაბრიკა „პარიზის კომუნის“ ერთ-ერთ მუშას, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა. მან დაიჩივლა, რომ ყოველდღიურად სურსათ-სანოვაგის ყიდვაზე ორი, ზოგჯერ კი სამი საათიც კი ეხარჯება. მიზეზი რიგებია. რიგები იმ საქონლებსე კი ამბობენ, რომელიც თავისუფლად იყიდება. ერთ-ერთი პრობლემაა საავტრო ფართობების ნაკლებობა. ამიტომ უნდა შეეამციროთ ყოველგვარი კანტორები, გამოთავისუფლებული ფართობები კი მომსახურების სფეროს გადავცეთ.

თქვენ, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა, საშუალება გქონდათ თვალი ეედევნებინათ XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის მუშაობისთვის. ახლა ჩვენ ახლებურად ვუდგებით პარტიის, საბჭოების, წარმოების, მეცნიერების მუშაობას — ერთი სიტყვით, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს მუშაობას. ჩვენ საფუძველს ვუყრით ჩვენს მომავალს. სხვა გზა, გარდაქმნის გარდა, არა გვაქვს — არც ეკონომიკაში, არც სოციალურ სფეროში, არც დემოკრატიის განვითარებაში. საჭიროობა გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, ხალხმა, ყველაფერი უნდა იცოდეს. აღარ შეიძლება ნაალოვნებათა დაგროსვრვება. და რაც უნდა ჯავრობდნენ ზოგიერთები, ჩვენ ყველაფერს ვლაპარაკობთ გულახდილად, არ გვეშინია, რომ ვინმეს გავანაწყენებთ.

ამიტომ გაბედულად იარეთ გარდაქმნის გზით, ნუ ელით მითითებებს, თავად აკეთეთ საქმე, თავად გამოასწორეთ იგი. მუშათა კლასი გარდაქმნის მთავარი დასაყრდენია.

ხმები დარბაზიდან: ჩვენ ყველანი გარდაქმნის მომხრენი ვართ. ყველაფერს ვიღონებთ.

ფაბრიკიდან გამოსულისას, მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა მოსკოველთა ჯგუფს — კრასნოგვარდეისკის რაიონის მცხოვრებლებს. მათ მთელი რიგი კერძოპირული შენიშვნები დასახელეს ბოსტნეულისა, ხილით მოსახლეობის მომარაგებასთან დაკავშირებით.

ეს სფერო, აღნიშნა მიხეილ სერგეის ძემ, კვლავინდებურად ჩამორჩენა ქალაქის როგორც ძველ, ისე ახალ რაიონებში. ეს ვიცით, და მოსკოვის ორგანიზაციები ახლა დამატებით ღონისძიებებს აზორციელებენ.

უნდა ითქვას, ხაზი გაუსვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, რომ ყველა ნაკლის მიუხედავად გარდაქმნა ჩქარდება. და ყველამ აქტიურად უნდა იმოქმედოს სკკპ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის დადგენილებათა შესრულებისათვის.

მ. ს. გორბაჩოვთან ერთად იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ნ. ზაიკოვი. (სსრდლინ).

გარდაქმნის მოწინავენი

ლ. ბრიგპაძის ფოტო.

ტყიბული. ლენინის სახელობის შახტაში საწმენდი სანგრევის ბერი მუშა იბრძვის ჯვანაბრშრის ამოღების წლეულდელი წლის დავალებათა შესასრულებლად. ავანგარდი პირველი საეკსპლუატაციო უბნის კოლექტივი, რომელმაც მარტო ივნისში გეგმის გადამეტებით ათას ტონაზე მეტი წიალეხეული ამოიღო. უბანში გამოცდილ შრომითს მეტოქეობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ახალგაზრდა მეშახტეებს ირინა სულამანიძისა და რუბენ მანგაძის.

ა. სულამანიძემ დიდად გაუხარია დროს. ინანგარ-ივნისში მან ჯვანაბრშრის მონგრევის პირადი ნორმა 131, 7 პროცენტიდ შეასრულა. ახლახან მის შრომით კალენდარში სეკტემბრის მაჩვენებელი ჩაიწერა. ა. სულამანიძის ღირსეული თანამოსაგრე რუბენ მანგაძე. მან სამეურნეო წლის პირველ ნახევარში ნორმის გადამეტებით 200 ტონა საკოქსე ქვანახშირი მონგრია და დავალება 128, 6 პროცენტით შეასრულა.

ხურაშუბ: ა. სულამანიძე და რ. მანგაძე სანგრევში ჩაშვების წინ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირში კრებების, მიტინგების, ქუჩებში მსვლელობის და დემონსტრაციების ორგანიზებისა და გამართვის წესის შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუცია ხალხის ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და განვითარების მიზნით მოქალაქეებს აძლევს კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების გართმევას. ამ პოლიტიკურ თავისუფლებათა განხორციელება უზრუნველყოფილია მოქალაქეებისა და მათი ორგანიზაციებისთვის საზოგადოებრივი შენობების, ქუჩების, მოედნებისა და სხვა ადგილების დათმობით.

კრებებსა, მიტინგებსა, ქუჩებში მსვლელობისა და დემონსტრაციებს ორგანიზაციისა და გამართვის წესის მოწესრიგების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **დადგინა:**

1. კრებებს, მიტინგებს, ქუჩის მსვლელობისა თუ დემონსტრაციის მოწყობის შესახებ კეთილი განცხადება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

კრების, მიტინგის, ქუჩის მსვლელობისა თუ დემონსტრაციის მოწყობის შესახებ მიმართავენ განცხადებით საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა ცალკეული ჯგუფების რწმუნებულები, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდათ.

2. განცხადება კრების, მიტინგის, ქუჩის მსვლელობისა თუ დემონსტრაციის მოწყობის შესახებ მიეცემა წერილობითი ფორმით არა უგვიანეს ათი დღისა მათი მოწყობის დასახულ თარიღამდე. განცხადებაში უნდა აღინიშნოს ღონისძიების მოწყობის მიზანი, ფორმა, ადგილი ან მოძრაობის მარშრუტი, მისი დაწყებისა და დამთავრების დრო, მონაწილეთა საერთაფო რაოდენობა, რწმუნებულთა (ორგანიზატორთა) გვარი, სახელი, მამის სახელი, მათი საცხოვრებლისა და მუშობის ადგილი, განცხადების მიღების თარიღი.

3. სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იხილავს განცხადებას და აცნობებს რწმუნებულებს (ორგანიზატორებს) მიღებული გადაწყვეტილების შესახებ არა უგვიანეს ხუთი დღისა განცხადებაში აღნიშნული ღონისძიების მოწყობის დროამდე. აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში განცხადების შემტანთ შესთავაზოს ღონისძიების მოწყობის სხვა დრო და ადგილი. გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრდეს ზემდგომ აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოში მომენდი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტი უზრუნველყოფს კრების, მიტინგის, ქუჩის მსვლელობის ან დემონსტრაციის მოწყობის საჭირო პირობებს.

4. კრებები, მიტინგები, ქუჩაში მსვლელობა და დემონსტრაციები ეწყობა განცხადებაში აღნიშნული მიზნების შესაბამისად, აგრეთვე განსაზღვრულ ეადებში და დათქმულ ადგილას.

კრებებსა, მიტინგებსა, ქუჩაში მსვლელობის, დემონსტრაციების მოწყობის დროს რწმუნებულები (ორგანიზატორები), აგრეთვე სხვა მონაწილენი მოვალენი არიან დაიცვან საბჭოთა კანონები, საზოგადოებრივი წესრიგი. მონაწილეებს აკრძალული აქვთ იქონიონ იარაღი, აგრეთვე სპეციალურად მომზადებული ან მამარკვებული საგნები, რომელთა გამოყენება შეიძლება ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ. სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისადმი მატერიალური ზარალის მიყენებისათვის.

5. სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს, აგრეთვე მოქალაქეებს უფლება არა აქვთ ხელი შეუშალონ კრებებს, მიტინგებს, ქუჩაში მსვლელობასა და დემონსტრაციებს, რომლებიც დადგენილი წესის დაცვით ეწყობა.

6. სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი კრძალავს კრებს, მიტინგს, ქუჩის მსვლელობას ან დემონსტრაციას, თუ მათი მოწყობის მიზანი ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციას, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებს ან საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა უსაფრთხოებას.

7. კრებები, მიტინგები, ქუჩებში მსვლელობა, დემონსტრაციები უნდა შეწყდეს ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელთა მოთხოვნით, თუ არ იყო შეტანილი განცხადება, გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება აკრძალვის შესახებ, აგრეთვე დაირღვა ამ ბრძანებულების მეოთხე ეზოლით გათვალისწინებული მათი მოწყობის წესი, საფრთხე შეექმნა მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი.

8. პირები, რომლებიც დაარღვევენ კრებებს, მიტინგებს, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და გამართვის დადგენილ წესს, პასუხს აგებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

კრებებსა, მიტინგებსა, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციებს მოწყობის დროს სახელმწიფოსთვისა, კოოპერაციული, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა თუ მოქალაქეებისათვის მათ მონაწილეთა მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი უნდა ანაზღაურდეს კანონით დადგენილი წესით.

9. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, თანამდებობის პირებს, აგრეთვე მოქალაქეებს უფლება არა აქვთ ხელი შეუშალონ კრებებს, მიტინგებს, ქუჩაში მსვლელობასა და დემონსტრაციებს მოწყობის წესის რეგლამენტაცია ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების საფუძველზე და ამ ბრძანებულების მოთხოვნათა შესაბამისად.

10. ამ ბრძანებულებით დადგენილი კრებებისა და მიტინგების ორგანიზაციისა და გამართვის წესი არ ვრცელდება ზრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრებებსა და მიტინგებზე, რომლებიც ეწყობა კანონმდებლობის, მათი წესდებებისა და დებულებების შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომეიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1988 წლის 28 ივლისი.

ამ. ს. გორბაჩოვი შეხვდა მეენგისტუ ჰაილე მარიამს

26 ივლისს მ. ს. გორბაჩოვი კრემლში შეხვდა ეთიოპიის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ეთიოპიის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს მენგისტუ ჰაილე მარიამს. გულთბილად მიესალმა რა მეგობარი ეთიოპიის ხელმძღვანელს, მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირში დიდ მნიშვნელობას ანჭებენ ურთიერთობას ამ ქვეყანასთან, აფასებენ რეგიონალურ კონტაქტებს ეთიოპიის ხელმძღვანელობასთან, ამხანაგ მენგისტუსთან. ჩვენთვის ახლოველია ეთიოპი ხალხის არჩევანი, ჩვენ ვსოლიდარობთ მის ძალისხმევას ქვეყნის განვითარების ახლანდელ, გარდამტეხ ეტაპზე წარმოშობილ სიძნელეთა დასაძლევად.

გაიმართა აზრთა გაზიარება ამბანაგური, კეთილმოსურნეობისა და ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით ორ ქვეყნის სამნათა განვითარებასთან, აფრიკასა და საერთოდ მსოფლიოში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებულ ფართო წრის საკითხებზე.

მ. ს. გორბაჩოვმა ითქვა ამაზე XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის გეგმებზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის ეროვნულ-ეკონომიკურ ეფექტიანობასა და ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ამოცანებზე,

მოსახლეობა კი მასალებს ელის...

მეუფლებაზე იმისა, რომ შარშან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რესპუბლიკის მოსახლეობის სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფა, როგორც საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, ვაჭრობის სამინისტრომ, „ცეკავშირის“ გამგეობამ, საშენ მასალათა მრეწველობისა და დგომლობრივი მრეწველობის სამინისტროებმა ჯერ კიდევ ვერ შეძლეს პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესაბამისად ძირეული გარდატეხა მოეხდინათ ხე-ტყისა და სამშენებლო მასალებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში.

შარშან სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოო-დაწესებულებებმა შეასრულეს მოსახლეობისათვის ხე-ტყისა და სამშენებლო მასალების მიყიდვის საკონტროლო-რეზერვის გეგმა და 146 მილიონი მანეთის სამონეი გაყიდეს, რაც გეგმიერზე 11 მილიონით მეტია. წინა წლთან შედარებით როგორც „ცეკავშირის“ სისტემაში, ისე საქართველოს სსრ გეგმობის სამინისტროს რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანების „საქმაშენმასალავაჭრობა“ ქსელში 30 პროცენტზე მეტით გაიზარდა საქონელბრუნვის ასორტუტური მოცულობა, განხორციელდა სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებები, ამოქმედდა ახალი ბაზები, საწყობები, მაღაზიები. ასეთი ტენდენციები შეიმჩნევა წელეულსაც.

მაგრამ, როგორც კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რესპუბლიკის მოსახლეობის სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფის დონე კვლავ ძალზე დაბალი რჩება. ეს განპირობებულია ადგილობრივი სამშენებლო მასალების მიწოდების დავალების შეუსრულებლობით, შარშან სავაჭრო ორგანიზაციებს არ მიუწოდეს 22 მილიონი მანეთის ხე-ტყეა და სამშენებლო მასალები. მდგომარეობა არც წელეულს გაუმჯობესებულა. ხუთი თვის მანძილზე სავაჭრო ორგანიზაციებს 4,5 მილიონი მანეთის ხე-ტყეა და სამშენებლო მასალები დააკლეს.

ბევრი საწარმო, სახელშეკრულებო ვალდებულებების სისტემატურ ჩაშლასთან ერთად, უშვებს და ასაღებს უხარისხო პროდუქციას. ზოგიერთ საწარმოში არადამაკმაყოფილებელად წარმოიებს საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება, რაც დარღვევებისაკენ და სოციალისტური საკუთრების დატაცების ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

საქართველოს სსრ სამინეო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ხაშურის გრანიტის მოსაპირკეთებელი ფილების ქარხანა (დირექტორი კ. გოგალაძე) სისტემატურად არ აწოდებს მოსახლეობისათვის სამშენებლო მასალების მიყიდვის დავალებებს. უფრო მეტიც, დირექტორის უკონტროლობამ სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევები გამოიწვია. ქარხანაში აღმოჩნდა 19,6 ათასი მანეთის მოსაპირკეთებელი მასალების დანაკლისი და 8,4 ათასი მანეთის აღურიცხავი პროდუქცია. ქარხნის მთავარი ინჟინერის მ. ლომძის ხელმეწყობით უხეშად ირღვევა მოზაიკური ფილების დამზადების ტექნოლოგია — ვამოშეებული პროდუქციის ძნიშვნელოვანი ნაწილი ბრაკად ითვლება უფარგისად.

ბზა პროდუქციის დანაკლისის ფაქტები გამოვლინდა აგრეთვე რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის“ მე-10 ტრესტის № 3 მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში და ტრესტ „საქსავთობშახტმშენმონტაჟის“ ხაშურის რკინა-ბეტონის ნაგებობათა პოლიგონზე.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ხაშურის სატყეო მეურნეობის დირექტორის ვ. ლომძიის მხრიდან უკანონობის შედეგად ამ საწარმოს სახეზე სამეურნეო ფფროსმა ა. სიხარულიძემ წლეულს მზა პროდუქციის მოცულობას 301 კუბური მეტრი სახერხი მასალა წაამტა, რის შედეგად მუშებს უკანონოდ მიეცათ 1506 მანეთი ხელფასი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანება „საქსაშენმასალავაჭრობა“ (ყოფილი დირექტორი ჯ. ჩიჩუა) და „ცეკავშირის“ გამგეობის ხე-ტყისა და სამშენებლო მასალებით ვაჭრობის გაფაფიზლება (გამგე მ. უჯამაჯარიძე), ოფლებიც უმეცარლად აგებენ პასუხს ხე-ტყითა და სამშენებლო მასალებით ვაჭრობის მდგომარეობაზე, სთანადო ზომებს არ იღებენ დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში სოციალისტური ფიქიანობის ვალდებულებისათვის, უშრომელ შემოსავლთან ბრძოლის გაძლიერებისათვის.

რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანების „საქსაშენმასალავაჭრობის“ ხაშურისა და ცხაკაიას გაერთიანებების დირექტორების ც. კორკოტაძის და კ. ჯანელიძის, ხაშურის რაიკოოპერატივის თავმჯდომარის პ. ბარბაქაძის მხრივ უკონტროლობისა და სამმისდმი ზერელე დამოკიდებულების შედეგად მთელ-ამი დაქვემდებარებულ საგაჭრო ორგანიზაციებში პრაქტიკულად შეუძლებელია გაზრდილი მოთხოვნილების საკონლის დადგენილ ფასებში ყიდვა.

რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანება „საქსაშენმასალავაჭრობის“ ცხაკაიას გაერთიანების № 144 მაღაზიასა და ხაშურის გაერთიანების № 115 მაღაზიაში გამოვლინდა შესაბამისად 16,6 და 13 ათასი მანეთის გადაბალეული საკონლი, ხოლო „აქა-ლა“ შესაბამისად 20 და 40 ათასი მანეთის საერთო ღირებულების სასაქონლო სახელდაკარგული რაკოოპაკავშირის“ ქობულეთის მაღაზია-საწყობში და ხაშურის რაიკოოპერატივის მაღაზიაში — შესაბამისად 4,7 და 3 ათასი მანეთისა. გარდა ამისა, აჭარის გაერთიანება „საქსაშენმასალავაჭრობის“ ქობულეთის № 68 მაღაზია-საწყობის სადურგლო საამქროში აღმოჩნდა 1000 მანეთზე მეტის ღირებულების არასტანდარტული სადურგლო ნაკეთობები, რომლებიც შესაბამისი დოკუმენტების გაფორმების გარეშე იყო დამზადებული.

სავაჭრო ობიექტების ხელმძღვანელთა უყაირათობის შედეგად ეშვიათი რიდია საქონლის რეალიზაციისათვის გამოუსადგარ მდგომარეობამდე მოყვანის ფაქტები. შერჩეითი შემოწმებით „საქსაშენმასალავაჭრობის“ ხაშურისა და ქობულეთის გაერთიანებების ობიექტებზე გამოვლინდა ნაკლოვანებებით ნაგავრი 560 მანეთი. ანალოგიური გზითაა მითვისებული 210 მანეთი ხაშურის რაიკოოპერატივის მაღაზია-საწყობშიც, აქვე გამყიდველს 280 მანეთის მეტობა გამოუვლინდა. ცხაკაიას რაიკოოპერატივის სოფ. ნოსორის მაღაზია-საწყობში კი 683 მანეთი ნაგავრი თანხის დანაკლისი გამოვლინდა.

არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება შემოწმებული ორგანიზაციების სავაჭრო-კომერციული საქმიანობა. უხეშად ირღვევა საფოფლო დისციპლინა. 1987 წელს გაერთიანება „საქსაშენმასალავაჭრობის“ 17 ორგანიზაციიდან რვას დააკლეს მოსაპირკეთებელი ფილების ფონდები, დანარჩენი ობიექტები კი ნორმის ზევით უხარუნველყვეს. ანალოგიური დარღვევები გამოვლინდა „ცეკავშირის“ ქობულეთის ბაზაზე. ასეთი ვიზიტი ბაზაზე ბაზაზე (დირექტორი გ. ჩიჩუა).

დადგენილებაში აღინიშნა აგრეთვე სახალხო კონტროლის შესაბამისი ადგილობრივი კომიტეტების, ჯგუფების და საგუშაგოების სუსტი მუშაობა, მათ ვერ უზრუნველყვეს ამ საქმიანობისადმი მკაცრი კონტროლის განხორციელება.

სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევებისათვის, რაც მოსახლეობისათვის სამშენებლო მასალების რეალიზაციის დავალებათა სისტემატური ჩაშლით, სახელოტრო ალრიცხვასა და ანგარიშგებაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობით გამოიხატა, რამაც დანაკლისებისა და პროდუქციის აღურიცხავი ნაშთების შექმნა გახადა შეუძლებელი, საქართველოს სსრ სამინეო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ხაშურის გრანიტის მოსაპირკეთებელი ფილების ქარხნის დირექტორი კ. გოგალაძე გადაყენებულია დაკავებული თანამდებობიდან.

„საქსაშენმასალავაჭრობის“ ხაშურის საბითუმო-საცალო გაერთიანების დირექტორს ც. კორკოტაძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური. ასეთივე სასჯელი დადო „ცეკავშირის“ გამგეობის ხე-ტყისა და სამშენებლო მასალების ბაზის ინჟინერ-ტექნიკოსს ბ. ბერიძეს.

სიტყვის გაცხენა არ აპატიეს

სარულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებაზე გადასვლა თვითმოზანი როდია. მან მნიშვნელოვანი გარდატეხა უნდა შეიტანოს საწარმოს მთელ საქმიანობაში, ამის კი წინასწარ, ღრმად მოფიქრებულ-განვლილზებული საშუალო სჭირდება. ეს უნდა გაეთვალისწინებინათ საწარმოო გაერთიანებების „საქელექტრომანქანის“ და „ელექტროაპარატის“ ქარხნების „მიკროძრავისა“ და „ასპაელექტროაპარატის“ ხელმძღვანელებს, მაგრამ ეს მსგავი საწარმოები მოემზადებელი აღმოჩნდნენ მეურნეობის ახალ პირობებში მუშაობისათვის.

სახელშეკრულები ვალდებულებას ალარ აქვს ეს საწარმო-დაწესებულებების გამარეული შეშობის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად სწორედ მიღებული პირობის განაღდება, ნედლეულისა თუ პროდუქციის დროული მოწოდებაა მიჩნეული. „მიკროძრავისა“ და „ასპაელექტროაპარატის“ მეცხეურები კი ამას რატომღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ და ამ საწარმოებში სისტემატურად ირღვევა მიწოდების ვალდებულებები. პირველ ყოვლისა ასეთი მდგომარეობა ამ საკითხების უმეტესო გამგებელთ, საწარმოთა დირექტორების მოადგილეებს რ. ცოტაძეს და ჯ. კუჭაიძეს უნდა აშფოთებდეს, ისინი უნდა ტეხდნენ განგაშს, ეფექტიან ზომებს ღებულობდნენ სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის, მაგრამ ასე როდი ხდება. ქარხანა „მიკროძრავაში“ პროდუქციის რეალიზაციის გეგმა სახელშეკრულებო მიწოდებების გათვალისწინებით შარშან მხოლოდ 91.6 პროცენტით შესრულდა, წლევანდელ პირველ კვარტალში კი — 95.1 პროცენტით. ქარხანა „ასპაელექტროაპარატში“ 1987 წლის მიწოდებათა გეგმა 97.7 პროცენტით განაღდეს, წლევანდელი პირველი კვარტალისა კი — 98.2 პროცენტით. მომხმარებლებმა პირველი ქარხნისაგან ვერ მიიღეს 2 მილიონი მანეთის, ხოლო მეორისაგან — 546 ათასი მანეთის პროდუქცია. სიტყვის, პირობის გატეხვა ერთსაც და მეორესაც ძვირი დაუჯდა. მიკროძრაველებმა ჯარიმად მილიონ ორმოცდაექვსი ათასი მანეთი გადიახდეს (რასაკვირველია, საწყარმოს ჯიბიდან), ასპაელებმა კი — 70 ათასი მანეთი.

სათანადოდ არ ირჯებიან მაკომპლექტებელი ნაკეთობებისა საწარმოოთა დროული უზრუნველყოფისათვის. უმთავრესად სწორედ ამ მიზეზით ქარხანა „მიკროძრავაში“ შეწყდა მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთ-ერთი მარკის ელექტროძრავის გამოშვება, წელიწადია ცდება სტატორების სახეგვი მექანიკური ხაი — ელექტროძრავების წარმოების ტექნოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი. ამავე მიზეზით ხშირად ვერ სრულდება ნოვენტლატორული გეგმები ქარხანა „ასპაელექტროაპარატში“. ასეთ ვითარებაში ამ საწარმოებში ნელა მცირდება და შემოწმების მომენტისათვის შესაბამისად დაგროვდა 1788 ათასი და 203 ათასი მანეთის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა „ზენორმატიული“ ნაშთები.

ქარხნები არარიტმულად მუშაობენ, მზა პროდუქციის გამოშვების ყველაზე დიდი ხვედრითი წონა თვის ბოლო დეკადაზე მოდის. ძირითადად ამ მიზეზის, აგრეთვე ტექნიკური სამსახურების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების გამო საწარმოებში ნელა უმჯობესდება გამოშვებული ნაწარმის ხარისხი, არ მცირდება უხარისხო პროდუქციის მიწოდებით გამოწვეული ზარალი: მაგალითად, შარშან და წლევანდელ პირველ კვარტალში „მიკროძრავამ“ 132 ათასი, ხოლო „ასპაელექტროაპარატმა“ 62 ათასი მანეთი ჯარიმა გადაუხადეს მომხმარებლებს. თუმცა ამ საწარმოთა დირექტორის მოადგილეები ა. ვარდანიძე და ვ. სტარმეკი, რომლებიც უშეალოდ აგებენ პასუხს მუშაობის ამ უბანზე, კრიტიკულად არ აფასებენ შექმნილ მდგომარეობას და სათანადო ზომებსაც არ ღებულობენ კონკრეტული შემსრულებლების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად.

შერჩეითი შემოწმებით 1988 წლის პირველი კვარტალის სახელშეკრულებო მიწოდებების გეგმების შესრულების ანგარიშებში ქარხანა „ასპაელექტროაპარატში“ გამოვლინდა 43 ათასი მანეთის, ხოლო „მიკროძრავაში“ — 37 ათასი მანეთის წაამტები. აქვე სასაქონლო პროდუქციის მოცულობა ხელოვნურად იყო გაზრდილი 15 ათასი მანეთით.

როგორ საწარმოებში ასეთი მდგომარეობაა შექმნილი, ეფექრობთ, ყველაფერი უნდა კეთდებოდეს მისგან თავის დასაცავად. სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფად, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და საანგარიშგებო მონაცემების უტყუარობისათვის ზომების მიღებლობისათვის ქარხანა „ასპაელექტროაპარატის“ დირექტორს უ. მოსიაშვილს გამოეცხადა საყვედური.

სახელშეკრულებო დისციპლინის სისტემატური დარღვევისათვის, საამგარიშგებო მონაცემების დამახინჯებისა და კომერციულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის ქარხანა „ასპაელექტროაპარატის“ დირექტორის მოადგილეს ჯ. კუჭაიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, რადგან მისი არასწორი ქმედების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებულია მატერიალური ზარალი, მასვე დაეკისრა ფულადი დარიცხვა ორი თვის თანამდებობრივი განაკვეთის ოდენობით.

ხარისხზო პროდუქციის გამოშვების თავიდან ასაცილებლად ეფექტიანი ზომების მიღებლობისათვის ქარხანა „ასპაელექტროაპარატის“ დირექტორის მოადგილეს ვ. სტარმეკს გამოეცხადა საყვედური, მასვე დაეკისრა ფულადი დარიცხვა ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

მიღებულ იქნა ცნობად, რომ სტატისტიკურ ანგარიშგებაში დაშვებული მიწერებისათვის საწარმო „გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ გენერალურ დირექტორს ა. ნოზაძესა და მის მოადგილეებს რ. ცოტაძეს და ა. ვარდანიძეს საქართველოს კპ ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით დადებული აქვთ პარტიული სასჯელი. გათვალისწინებულ იქნა, რომ რ. ცოტაძისა და ა. ვარდანიძის არასწორი ქმედების შედეგად სახელმწიფოს მატერიალური ზარალი მიადგა და მათ დაეკისრათ ფულადი დარიცხვა ორორი თვის თანამდებობრივი განაკვეთის ოდენობით.

ა. ალექსიძე.

მინაწერი: წერილში საუბარი იყო გასული წლისა და წლევანდელი სამი თვის შედეგებზე, რადგან შემოწმებამ მხოლოდ ეს პერიოდი მოიცვა. მისი დამტკიცების წინ დავინტერესდით, თუ როგორ დაამთავრა წლის პირველი ნახევარი ამ ორმა საწარმომ. აღმოჩნდა, რომ სასაკეთო ძვრები არ მომხდარა: ქარხანა „მიკროძრავამ“ სახელშეკრულებო ვალდებულებები მხოლოდ 93,2 პროცენტით განაღდა, „ასპაელექტროაპარატმა“ კი — 97,6 პროცენტით.

სახალხო კონტროლი მოქმედებს

შთაგებდილებებით ალსავსე დაბრუნდა მოსკოვიდან XIX საკავშირო პარტკონფერენციის დელეგატი დარეჯან გელაშვილი—რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს“ სართავი საამქროს მოწინავე მუშა. იგი სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრიც არის და აქტიურად მონაწილეობს ქარხნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლაში.

სურათზე: მეპატარეტე პ. ურევეა, სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრი დ. გელაშვილი, ოსტატი ც. თუთბერიძე და ამოზეევი ი. ირემაძე ამოწმებენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

თ. ნიკოლაიშვილი („კომუნისტი“) ფოტო.

მასების ქონტროლი

ჯგუფის № 239

ფერმა დაღუპვის პირზეა

თუ იმ ციფრებს დავუჯერებთ, რომლებიც გეგეკმორის რაიონის სოფელ გურძიანის კოლმეურნეობაში საკვების ხარჯვის მდგომარეობას ახასიათებენ, იქაური პირუტყვი კანში ვერ უნდა ეტიოდეს. შარშან ცენტნერი ხორცის წარმოებაზე 15,6 საკვები ერთეულის ნაცვლად... 114,54 საკვები ერთეული დახარჯეს! ანალოგიური მდგომარეობაა წლეულსაც. ამ დროს კი 1987 წელს ჩაბარებული 97 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვიდან კარგად ნასუქი მხოლოდ ერთი პროცენტი იყო, საშუალოდ ნასუქი კი — 76 პროცენტი. წლეულს 25 სული ჩაბარეს და არც ერთი არ იყო კარგად ნასუქი, 40 პროცენტი საშუალზე დაბალი გამოდგა, კიდევ 40 პროცენტი კი — ჯანდაგი. გეგმით გათვალისწინებულზე მნიშვნელოვნად ნაკლებია ჩაბარებული პირუტყვის საშუალო წონა, რითაც ხორცის წარმოების დიდი რეზერვები იკარგება.

ამ დროს კი ცენტნერი ხორცის წარმოება შარშან გათვალისწინებული 502,8 მანეთის ნაცვლად 4818,18 მანეთი დაუჯდათ, წლეულს კი — 5292 მანეთი (?!). ძალზე გაძვირებულია ცენტნერი რძის თვითღირებულებაც.

ყოველივე ეს განპირობებულია სამსახურებრივი მოვალეობისადმი კოლმეურნეობის ხელმძღვანელების, სპეციალისტების უმასუხისმგებლო დამოკიდებულებით. ამა სხვა რა გარემოებას უნდა დავაბრალოთ, რომ უკანასკნელ წლებში სისტემატურად არ სრულდება მეცხოველეობის განვითარების საგეგმო დავალებები. 1987 წელს არ შესრულებულა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მათ შორის ძროხების სულადობის გადიდების გეგმები, ვერ იქნა უზრუნველყოფილი ხბოს მიღების, საქონლის ხორცისა და რძის წარმოების, მათი რეალიზაციის გეგმები, ასევე შეუსრულებელი დარჩა ქუთის სულადობის, ღოვების მიღების, ღორის ხორცის წარმოება-რეალიზაციის გეგმიური დავალებები. ანალოგიური მდგომარეობაა წლეანდელი პირველი კვარტლის მონაცემებითაც.

მეცხოველეობის ფერმაში, რომელსაც გრიგოლ ჯგერენაია თავკაცობს, ძალზე დაბალია რძის ხარახლი, ხახვნობოზე ნაკლებია მისი ციმბირნობა, რაც დიდ ზარალს იწვევს. აქვე ისიც უნდა თქვას, რომ ფერმაში საერთოდ არ განსაზღვრავენ რძის ცხიმიანობას (არც რძის ლაბორატორია აქვთ), რეგულარულად არ აწყობენ საკონტროლო წველას.

დიდი სხვაობა პირუტყვის საინვენტარო და ჩაბარებულ წონებს შორის, რასაც ისევ და ისევ ზარალისაკენ მიპყავს მეურნეობა. თითქმის 8 ათასი მანეთი იზარალეს შარშან დახოცილი მსხვილფეხა პირუტყვითა და გოკებით.

საკვებს კი ბევრს ხარჯავენ, მაგრამ მისი ხარისხისათვის თავს მაინდამაინც არ იწუხებენ, ამიტომაც მოხდა, რომ შარშან ვერ შეასრულეს სიმინდის, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახის, ჩალის წარმოების გეგმები.

ერთი სიტყვით, ზარალი ზარალს ემატება და მეურნეობის საქმეც უკან მიდის. დახასელებულ მიზეზთა გამო შარშან მეცხოველეობაში 160 ათასი მანეთი იზარალეს, წლეულს პირველ კვარტალში კი — თითქმის სამოცი ათასი მანეთი.

მეურნეობაში ფერმაღაც საჭიროდ არ მიუნიშნეთ პირუტყვის ინვენტარიზაციისა დაკვლისა და საკვდილიანობის დამდგენი კომისიების შექმნა. არა აქვთ ლენინ გაანდაურებისა და უტალის ჩაბარების დოკუმენტები.

საერთოდ მეცხოველეობის ფერმაში უგულებელყოფილია სოციალისტური საკუთრების დაცვის ელემენტარული ნორმებიც კი, თავად განსაჯეთ. შემოწმებისას 20 მსხვილფეხა რქიან პირუტყვს (მათ შორის 10 ძროხას) არ აღმოაჩნდა სანონენტარო ნომერი, ასევე დაუნომრავი იყო 65 ღორი. შემოსავალში აუუვანელი მყავდათ ორი ხბო. ფერმაში აკლდათ ერთი სული მოზარდი პირუტყვი, მაგრამ მისი სამალავსო ღირებულება ვერ დადგინეს აღრიცხვის უნესრიგობის გამო.

ისიც უნდა ითქვას, რომ ფერმაში ინვენტარიზაცია ტარდება უხარისხოდ, დროულად არ ხდება ბუღალტრიული ბალანსი დოკუმენტების წარდგენა და დამუშავება, მაგრამ ეს დიდად არ აწუხებს კოლმეურნეობის მთავარ ბუღალტერს ზ. კვარაცხელიას, ისევე როგორც არ ზუსტ ბუღალტერიის თვითღირებულების შეცირებასა და საკვების ეკონომიის ხარჯვისათვის მთავარი ეკონომისტი ზ. სიორიკია.

გეგეკმორის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტმა ამ-სწელს გურძიანის კოლმეურნეობაში გამოვლენილი სერიოზული დარღვევების შესახებ და დასახა ქმედითი ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად. ანალოგიური მდგომარეობაა წლეანდელი პირველი კვარტლის მონაცემებითაც.

მეცხოველეობის ფერმაში, რომელსაც გრიგოლ ჯგერენაია თავკაცობს, ძალზე დაბალია რძის ხარახლი, ხახვნობოზე ნაკლებია მისი ციმბირნობა, რაც დიდ ზარალს იწვევს. აქვე ისიც უნდა თქვას, რომ ფერმაში საერთოდ არ განსაზღვრავენ რძის ცხიმიანობას (არც რძის ლაბორატორია აქვთ), რეგულარულად არ აწყობენ საკონტროლო წველას.

ფერმა დაღუპვის პირზეა

ს. ხერბაინი,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი.

ქუთათურებს—გაახარებს, ღღესასწაულს—დაამშვენებს

